პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ГАЗЕТА ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 199 (19640) ◆ შაბათი, 30 აგვისტო, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ჩაი-86: გეგმა ხარისხს არ უნდა შეეწიროს!

ნედლეულის დაბინავების ცხარე დღეები აქვთ ცხაკაიელ მეჩაიეებს, რომლებმაც ვერა და ვერ დააღწიეს თავი ჩამორჩენას. საგანგაშო ის არის, რომ რაიონის საშუალო მაჩვენებელსაც ვერ გაუსწორდნენ ზანის ყდანოვის, უმაფათის ორჯონიკიძის, ფოცხოს სტალინისა და ხორშის გამარჯვების სახელობის კოლმეურნეობები, რომელთა მუშაობის შედეგებზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული რაიონის გეგმის შესრულება. არადა, რაიონში 26 აგვისტოსათვის ჩაის ფოთოლი მოკრეფილი იყო წლიური გეგმის მხოლოდ 60,8 პროცენტი. ამასთან დამზადებულ ნედლეულში მკვეთრად შემცირდა ნაზი ფრაქციის შემცველობა. 17 აგვისტოს დამზადებულ 48 ტონა ნედლეულში ნაზი ფრაქცია მხოლოდ 32 პროცენტს შეადგენდა.

რაიონში ჩაის ფოთლის მექანიზებული კრეფის დავალება დიდი არ არის, მაგრამ ისიც არ სრულდება. უშაფათის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ვ. ხუბუა, პარტბიუროს მდივანი ლ. გაბელია) ჩამორჩებიან №1,7,8,9, ბრიგადები (ხელმძღვანელები გ. წირღვავა, ი. შეროზია, პ. ქვარცხავა, ა. კოროშია). მათი წლიური დავალების შესრულების მაჩვენებლები 40-45 პროცენტს არ აღემატება. ამ ბრიგადებში დაბალია შრომის დისციპლინა, მეჩაიეები უხალისოდ და კანტიკუნტად გამოდიან სამუშაოდ, არა აქვთ ყოველდღიური ოპერატიული დავალებები, თვეში საშუალოდ ერთ კოლმეურნეს 16-17 კაცდღე აქვს გამომუშავებული. კოლმეურნეობის გამგეობა და პარტიული ორგანიზაცია კი ამ ფაქტს, გულარხეინობას ჯეროვან შეფასებას არ აძლევენ.

უკეთესი მდგომარეობა როდი ხორშის გამარჯვების სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე პ. თოდუა, პარტბიუროს მდივანი თ. ხარბედია), სადაც წლიური დავალება შესრულებულია მხოლოდ 46,1 პროცენტში. ჩამორჩენა იმითაც არის გამოწვეული, რომ კოლმეურნეობაში სუსტად არის გამოყენებული მცირე მექანიზაცია და მშობლიური მანქანები. აქ უხეშად არღვევენ კრეფის წესებს. საგრძნობლად გაიაფარეს ხარისხობრივი მაჩვენებლები და დამზადებული ნედლეულის თითქმის ნახევარი უკან უბრუნდებათ.

ლეძაძამელმა მეჩაიეებმა ნაყოფიერად გამოიყენეს ივლისი, მეორე ვეგეტაციის პერიოდი და ამჟამად რაიონში დაწინაურდნენ. მაგრამ როგორც აგვისტოს თვის განელილი დღეების მონაცემები მოწმობს, აქაურებმა შეასუსტეს მუშაობა და ჩამორჩნენ. აქ მოშლილია აგრონომიული სამსახური, სრულად არ არის გამოყენებული ჩაის ფოთლის დამზადების შესაძლებლობა. კოლმეურნეობის პირველი და მეორე ბრიგადების ცალკეული ნაკვეთები დასარეგლანებულია, შემოწმების დღეს 185 მეჩაიიდან საკრეფად გამოვიდა 15 კაცი.

საქმისადმი კოლმეურნეობის გამგეობის (თავმჯდომარე ი. ჯოფაძე) და რაიონის მეღვინეობისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს ხელმძღვანელი მუშაკების უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგია ის, რომ ლეძაძამეს კოლმეურნეობასა და სხვა საზოგადოებრივ მეურნეობებში ეფექტიანად არ არის გამოყენებული სარწყავი პლანტაციების უპირატესობა, რის გამოც ამ გვალვის პირობებში დიდძალი ნედლეული იკარგება.

შეფერხებით მუშაობენ რაიონის ჩაის გადამმუშავებელი საწარმოები. ტექნიკური გაუმართაობის გამო ფაბრიკებში არის ნედლეულის გადახურების შემთხვევები, რაც აუარესებს პროდუქციის ხარისხს. ამ მხრივ ცუდი მდგომარეობაა უშაფათის ჩაის ფაბრიკაში, რომლის ხელმძღვანელები სეზონისათვის მოუმზადებლობის გამო ჯერ კიდევ აპრილში იყვნენ გაკიცხულნი გაზეთ „კომუნისტში“. კრიტიკიდან სათანადო დასკვნა ვერ გამოიტანა საწარმოს დირექტორმა გ. ჭიჭინაძემ, რომელიც იმისათვის, რომ სისტემატურად ირღვეოდა ტექნოლოგიური დისციპლინა და არ სრულდებოდა ხარისხიანი პროდუქციის გამოშვების გეგმები, სამუშაოდან გაათავისუფლეს.

იმის გამო, რომ რაიონის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა სეზონის განელილ ჭერიოდში ცუდად იმუშაეს, მიმდინარე წლის შვიდ თვეში ჩაის ფაბრიკებში შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით მზა პროდუქციის გამოშვება შემცირებულია 22 პროცენტით (ეს ფულადი გამოხატულებით 2162 ათას მანეთს შეადგენს).

ამ დამაფიქრებელი მდგომარეობიდან თავის დასაღწევად რაიონის პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა, სოფლის მშრომელებმა ყველაფერი უნდა იღონონ.

ვ. ჩაჩიბაია,
გ. ნოდია,
„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტები.

„კომუნისტის“ საგუშაგო

მეჩაიეობაში დავალება უთუოდ უნდა შესრულდეს, ზოგან კი ფოთლის კრეფა კვლავ ფერხდება

კიძის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ვ. ხუბუა, პარტბიუროს მდივანი ლ. გაბელია) ჩამორჩებიან №1,7,8,9, ბრიგადები (ხელმძღვანელები გ. წირღვავა, ი. შეროზია, პ. ქვარცხავა, ა. კოროშია). მათი წლიური დავალების შესრულების მაჩვენებლები 40-45 პროცენტს არ აღემატება. ამ ბრიგადებში დაბალია შრომის დისციპლინა, მეჩაიეები უხალისოდ და კანტიკუნტად გამოდიან სამუშაოდ, არა აქვთ ყოველდღიური ოპერატიული დავალებები, თვეში საშუალოდ ერთ კოლმეურნეს 16-17 კაცდღე აქვს გამომუშავებული. კოლმეურნეობის გამგეობა და პარტიული ორგანიზაცია კი ამ ფაქტს, გულარხეინობას ჯეროვან შეფასებას არ აძლევენ.

უკეთესი მდგომარეობა როდი ხორშის გამარჯვების სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე პ. თოდუა, პარტბიუროს მდივანი თ. ხარბედია), სადაც წლიური დავალება შესრულებულია მხოლოდ 46,1 პროცენტში. ჩამორჩენა იმითაც არის გამოწვეული, რომ კოლმეურნეობაში სუსტად არის გამოყენებული მცირე მექანიზაცია და მშობლიური მანქანები. აქ უხეშად არღვევენ კრეფის წესებს. საგრძნობლად გაიაფარეს ხარისხობრივი მაჩვენებლები და დამზადებული ნედლეულის თითქმის ნახევარი უკან უბრუნდებათ.

ლეძაძამელმა მეჩაიეებმა ნაყოფიერად გამოიყენეს ივლისი, მეორე ვეგეტაციის პერიოდი და ამჟამად რაიონში დაწინაურდნენ. მაგრამ როგორც აგვისტოს თვის განელილი დღეების მონაცემები მოწმობს, აქაურებმა შეასუსტეს მუშაობა და ჩამორჩნენ. აქ მოშლილია აგრონომიული სამსახური, სრულად არ არის გამოყენებული ჩაის ფოთლის დამზადების შესაძლებლობა. კოლმეურნეობის პირველი და მეორე ბრიგადების ცალკეული ნაკვეთები დასარეგლანებულია, შემოწმების დღეს 185 მეჩაიიდან საკრეფად გამოვიდა 15 კაცი.

საქმისადმი კოლმეურნეობის გამგეობის (თავმჯდომარე ი. ჯოფაძე) და რაიონის მეღვინეობისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს ხელმძღვანელი მუშაკების უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგია ის, რომ ლეძაძამეს კოლმეურნეობასა და სხვა საზოგადოებრივ მეურნეობებში ეფექტიანად არ არის გამოყენებული სარწყავი პლანტაციების უპირატესობა, რის გამოც ამ გვალვის პირობებში დიდძალი ნედლეული იკარგება.

შეფერხებით მუშაობენ რაიონის ჩაის გადამმუშავებელი საწარმოები. ტექნიკური გაუმართაობის გამო ფაბრიკებში არის ნედლეულის გადახურების შემთხვევები, რაც აუარესებს პროდუქციის ხარისხს. ამ მხრივ ცუდი მდგომარეობაა უშაფათის ჩაის ფაბრიკაში, რომლის ხელმძღვანელები სეზონისათვის მოუმზადებლობის გამო ჯერ კიდევ აპრილში იყვნენ გაკიცხულნი გაზეთ „კომუნისტში“. კრიტიკიდან სათანადო დასკვნა ვერ გამოიტანა საწარმოს დირექტორმა გ. ჭიჭინაძემ, რომელიც იმისათვის, რომ სისტემატურად ირღვეოდა ტექნოლოგიური დისციპლინა და არ სრულდებოდა ხარისხიანი პროდუქციის გამოშვების გეგმები, სამუშაოდან გაათავისუფლეს.

იმის გამო, რომ რაიონის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა სეზონის განელილ ჭერიოდში ცუდად იმუშაეს, მიმდინარე წლის შვიდ თვეში ჩაის ფაბრიკებში შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით მზა პროდუქციის გამოშვება შემცირებულია 22 პროცენტით (ეს ფულადი გამოხატულებით 2162 ათას მანეთს შეადგენს).

ამ დამაფიქრებელი მდგომარეობიდან თავის დასაღწევად რაიონის პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა, სოფლის მშრომელებმა ყველაფერი უნდა იღონონ.

ვ. ჩაჩიბაია,
გ. ნოდია,
„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტები.

შრომითი კოლექტივი გარდაქმნის პროცესის შუაგულში

28 აგვისტოს გამართულ სხდომაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ იმსჯელა საწყალობლების კოლექტივებში საწარმოთა და ორგანიზაციათა პარტიულ-სამეურნეო აქტივებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის — „ქვეყანაში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების გარდაქმნის ძირითადი მიმართულებანი“ — განხილვის შედეგებზე. აღინიშნა, რომ ეს პროექტი ყველგან საყოველთაოდ მოიწონეს და მხარი დაუჭირეს მას, როგორც სპეციალისტთა მომზადების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების სისტემის ძირეული სრულყოფის პროგრამამ, რომლის რეალიზაცია ხელს შეუწყობს საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას.

პროექტის განხილვის დროს გამოითქვა 200 ათასზე მეტი შენიშვნა და წინადადება, რომელთა მიზანია სპეციალისტთა მომზადების დონის არსებითი ამაღლება და სახალხო მეურნეობაში მათი გამოყენების ძირეული გაუმჯობესება. ისინი განიხილეს ადგილობრივმა პარტიულმა კომიტეტებმა, სამინისტროთა და უწყებათა კოლეგიებმა. შემუშავებულია და ხორციელდება უმაღლესი სასწავლებლების, ტექნიკუმების, სასწავლებლების საქმიანობაში ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და არსებული რეზერვების გამოყენების ღონისძიებანი.

განხილვის შედეგების მიხედვით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში შეტანილია დაზუსტებანი, დამატება-ცვლილებანი. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მოამზადებს შესაბამის დადგენილებებს გარდაქმნის ძირითად მიმართულებათა რეალიზაციისათვის. ხაზგასმით აღინიშნა, თუ რაოდენ საჭიროა უკვე კარსმოდგარ სასწავლო წელს დავიწყოთ უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების საქმიანობის გაუმჯობესებისათვის მუშაობა და უზრუნველყოთ მისი განვითარების თვისებრივად ახალი დონე სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

პოლიტბიურომ განიხილა პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად შემუშავებული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ხელფასის ორგანიზაციის სრულყოფა და სახალხო მეურნეობის საწარმოო დარგების მუშაკთა ახალი სატარიფო განაკვეთებისა და თანამდებობრივი სარგოების შემოღება. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილებაში ამ საკითხზე გათვალისწინებულია დაიხვეწოს შრომის ანაზღაურების მთელი ორგანიზაცია, გაიზარდოს სატარიფო სისტემის როლი, გაძლიერდეს პრემიების, წამახალისებელი სართავა და წარმატების ქმედითობა, გაუმჯობესდეს შრომის ნორმირება. დასახულია ახალი გადიდებული სატარიფო განაკვეთებისა და თანამდებობრივი სარგოების შემოღება მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუშაკებისათვის. ეს ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს მეთორმეტე ხუთწლედის განმავლობაში.

ხაზგასმულია, რომ ხელფასის სრულყოფისათვის მუშაობა უნდა გახდეს ახალი სამეურნეო მექანიზმის, სრული სამეურნეო ანგარიშის, თვითდაფინანსების დანერგვის ორგანული ნაწილი. გათვალისწინებულია, რომ სატარიფო განაკვეთებისა და თანამდებობრივი სარგოების გადიდება გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკებისათვის უნდა განხორციელდეს პრინციპულად ახალ საფუძველზე — შრომითი კოლექტივების სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესებისა და მათ მიერ გამომუშავებული სახსრების ხარჯზე. იქმნება უპირატესობანი ყველაზე კვალიფიციურ მუშათა, ინჟინერთა და სხვა სპეციალისტთა შრომის ანაზღაურებაში, რომლებიც დასაქმებული არიან წარმოებაში ახალი დიდმწარმოებლური ტექნიკისა და ტექნოლოგიის შემუშავებით, დანერგვითა და გამოყენებით.

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ უზრუნველყონ შრომითი კოლექტივების უშუალო მონაწილეობა შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე გადასვლისათვის მუშაობის მომზადებასა და მოწყობაში. იგი უნდა განხორციელდეს ზუსტად და ორგანიზებულად ფართო საჯაროობის ვითარებაში. დასახულ ღონისძიებათა განხორციელება უნდა იყოს მშრომელთა შრომითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობის გადიდების დიდმნიშვნელოვანი საშუალება, წარმოების ეფექტიანობის ზრდის, მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების, მთელი შინაგანი რეზერვების ამოქმედების ახალი სტიმული.

პოლიტბიურომ მოიწონა გამოცდილება და წინადადებანი ძრავის სობობად ბუნებრივი და გათხევადებული ნავთობის გაზის ფართოდ გამოყენების შესახებ. საგეგმო და სამეურნეო ორგანოებს დაევალათ გაფართოონ დიდი დაწნევით შეკუმშული ბუნებრივი გაზითა და გათხევადებული ნავთობის გაზით მომუშავე სატვირთო, სპეციალიზებული ავტომობილების, ავტობუსების, საქალაქო კომუნალური მეურნეობისათვის განკუთვნილი მანქანებისა და ავტოსატვირთველების წარმოება, ააშენონ და ამოქმედონ

რვა წელიწადზე ცოტა მეტი ხანი გავიდა, რაც ენგურის ჰიდროელექტროსადგურმა დაიწყო სამრეწველო დენის წარმოება. ამ ხნის მანძილზე ამიერკავკასიის გაერთიანებულმა სისტემამ 22 მილიარდ კილოვატსაათზე მეტი ელექტროენერგია მიიღო.

დამკვრელურ-კომკავშირულ მშენებლობაზე ძირითადად ახალგაზრდობა მუშაობს. ჰიდროშენებლებმა გადაწყვიტეს ხუთწლედის ორი წლის გეგმა დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის შეასრულონ.

სურათებზე: ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ბევრ უბანზე ქართველი სპეციალისტებთან ერთად შრომობდნენ სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული სტუდენტები, რომლებიც საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასწავლებელში სწავლობენ. ამ სურათზე აღბეჭდილი არიან ზეინკალი ზურაბ მანია (მარცხნიდან მეორე) და ინჟინერი მერაბ გახარია (მარცხნიდან მესამე), რომლებიც ესაუბრებიან ბელორუსიის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჰიდროსამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტებს კენიელ კიბი ოოლს, მავრიტანიელ ბაჰულდ ბაბა ამმედსა და გვინეის ყურის პრინსიპის კუნძულიდან ჩამოსულ ბერიერუ ვიეგაშ ალბერტინა სან-ტომეს; ამწის რადიოოპერატორი, კომუნისტური შრომის დამკვრელი, კომკავშირელი ნატალია კონშინა; უნიკალური თაღოვანი კაშხალის ხედი.

შ. აივაზოვის ფოტო. (საინფორმის ფოტოქრონიკა).



მიზანი: მშვიდობიანი გარჯა

ანგარიში გაეწიოს საღ აზრს!

ჩვენ, სამამულო ომის ვეტერანებმა, რომლებმაც საკუთარი მწარე გამოცდილებით ყველაზე უკეთ ვიცით, თუ რა აუწერელი უბედურება მოაქვს სისხლისმღვრელ შეტაკებებს კაცობრიობისათვის, დიდი გულისყურით მოვისმინეთ ამხანაგ მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვის განცხადება ცენტრალური ტელევიზიით და კანონიერი სიამაყის გრძნობით განვიმსჭვალეთ პარტიის ლენინური საგარეო პოლიტიკის კურსისადმი.

ამერიკის შეერთებული შტატების მხედრიონმა არ უნდა დაავიწყოს წარსულის გაკვეთილები. ამერიკელი ინპერიალისტები გონს უნდა მოეგონ, დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ბირთვული ექსპერიმენტები, ანგარიში გაუწიონ საღ აზრს.

ორმოციან წლებში ჩვენ მოკავშირეები ვიყავით ფაშიზმის წინააღმდეგ საერთო ბრძოლაში. ამიტომ უფროს თაობას განსაკუთრებით გვტკივნს გულს, როცა ვხედავთ, რომ ამერიკის ადმინისტრაციას არ სურს საქმით უპასუხოს საბჭოთა კავშირის სამშვიდობო ინიციატივებს, რომელთა მიზანია მშვიდობის დამკვიდრება პლანეტაზე და მასობრივი მოსპობის იარაღის წარმოების შეწყვეტა.

ახლა სიტყვა მსოფლიოს ხალხებს ეკუთვნის. ომის გამჩაღებლები უნდა აილაგმონ.

შ. ჩილაჩავა,
საბჭოთა კავშირის გმირი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი.

საბჭოთა ტელევიზიით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადებასთან დაკავშირებით რესპუბლიკაში 5 სექტემბერს ეწყობა ერთიანი პოლიტდღე თემაზე: **„რეალიზმის, მშვიდობისა და თანამშრომლობის პოლიტიკას — საყოველთაო-სახალხო მხარდაჭერა შეუპოვარი შრომით, სახელმწიფო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებით, დისციპლინის განმტკიცებით, დიდი სახოგადოებრივი აქტიურობით“.**

სამშობლოს დამცველთა ამოცანა

ჩვენი სამშობლოს სამხრეთი საზღვრების დამცველებს საბჭოთა ტელევიზიით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადება მიაჩნიათ დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ დოკუმენტად, რომელშიც პარტია კვლავ გვევლინება პლანეტაზე მტკიცე, სამართლიანი მშვიდობის მგზნებარე დამცველად, ხაზგასმით აღინიშნა მიტინგზე, რომელიც გაიმართა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის შტაბში. მიტინგში მონაწილეობდნენ შტაბისა და სამმართველოების გენერლები, ოფიცრები და მუშა-მოსამსახურეები.

ორატორებმა გენერალ-მაიორმა ვ. კოვალიოვმა, პოლკოვნიკებმა ვ. ბორისოვმა და ვ. ნიკულინმა, დიდი სამამულო ომის მონაწილემ, ფრონტელმა პოლიტმუშაკმა, გადამდგარმა პოლკოვნიკმა კ. ლედნიოვმა და სხვებმა თქვეს, რომ ამიერკავკასიელი მეომრები მხურვალედ იწონებენ და ერთსულოვნად უჭერენ მხარს სსრ კავშირის ახალ სამშვიდობო ინიციატივებს. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მესვეურნი ალიერებენ გამალებულ შეიარაღებას, სულ უფრო აქტიურად ემზადებიან „ვარსკვლავეთის ომებისათვის“, ამწვავებენ დაძაბულობას მსოფლიოს ხან ერთ, ხან მეორე რაიონში. ამიტომ, ხაზგასმით აღინიშნა მიტინგზე, საბჭოთა შეიარაღებული ძალების, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მეომრების წინაშე რთული და პასუხსაგები ამოცანები დგას. მათ უნდა უზრუნველყონ კარგი საბრძოლო მზადყოფნა, ჰქონდეთ უნარი, რომ დაუყოვნებლივ მოიგერიონ ყოველი აგრესორი, თუ იგი ხელყოფს ჩვენს სამშობლოს და სოციალისტურ ბანაკში ჩვენს მოკავშირეებს.

დღეს, სწავლების ზაფხულის პერიოდის დამამთავრებელ ეტაპზე, ამიერკავკასიელი მეომრები საკონტროლო და ჩათვლითს სროლაზე, საბრძოლო მანქანების ტარების მეცადინეობაზე, ტაქტიკურ წვრთნაზე წარმატებით აბარებენ საბრძოლო სიმწიფის გამოცდას. პარტიისადმი მათი არმოული პატაკი — ეს არის პასუხი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის განცხადებაზე, მტკიცე გადაწყვეტილება — შეასრულონ ვალდებულებანი სოციალისტური შეჯიბრებისა, რომელიც მიმდინარეობს დევიზით „სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებს შევასრულებთ, საიმედოდ დავიცავთ სოციალიზმის მონაპოვრებს!“.

მიტინგის მონაწილეთა წინაშე გამოვიდა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი კ. ა. კოჩეტოვი.

ვინ მოიპოვებს „კომუნისტის“ ვიმპელს?

მოწადინებას შველა ახლაც შეუძლია

ფლეულს, როცა გვაღვა მძვინვარებს, წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობას არც უხვი და არც წვნიანი საკვების დამზადება არ გასჭირვებია, იმდენი სენაჟი, თივა და ნამჯა დააგროვა, რომ პირუტყვს წლითიწლობამდე გამოსაკვებად ეყოფა. ზოგი სახის საკვები კი მოსჭარბდება კიდეც. მაგალითად, 2.800 ტონის ნაცვლად 3.500 ტონაზე მეტი სენაჟი ჩაიდო, თივაც საგეგმოს აღემატება. ჯაფარიძელები ძირითადად სარწყავი მოყვანილი ბალახებსა და სიმინდის მწვანე მასას ასილოსებენ. აქაურებს ბარკვეული ფართობი მდინარე ალაზნის პირას აქვთ, მაგრამ ალაზანი მარტო მათთვის არავის უჩუქებია. არც ამ რაიონის სხვა კოლმეურნეობებისათვის აუკრძალავთ ალაზნის წყლით სარგებლობა. ვინც იციას მისი მადლი, იყენებს კიდეც.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირმა ნ. ყოჩიაშვილმა გვითხრა: — მადლობა ალაზანი და მისი სიკეთე. გონივრულად გამოიყენეს ჩვენმა მექანიზატორებმა ლერი ყოჩიაშვილმა, ზიტო ჩუბინიძემ, ვლადიმერ ბოსტაშვილმა, ამირან ხუციშვილმა, მემცენარეობის უგანრიგო ბრიგადის ხელმძღვანელმა უშანგი ლეკაშვილმა. ისინი არც სიცხეს, არც სიცივეს, არც სხვა რამ სიძნელეს ეპუებიან. სამჯერ მოვრწყეთ იონჯის ნათესები „მილარზე“. ამის წყალობით ზოგან სამჯერ, ზოგან კი ოთხჯერ გავითიბეთ ბალახი. ჩვენს მეწველ საქონელს ზამთარ-ზაფხულს მწვანე მასა არ მოჰკლებია. კოლმეურნეობას ამ გვალვასა და ბაჭირეებში ერთი ბღუჯა ნამჯაც არ დაუკარგავს.

ამას წინათ რაიონულმა გაზეთმა „ახალმა შირაქმა“ გააკრიტიკა სოფელ გამარჯვების კოლმეურნეობა იმის გამო, რომ ჩამორჩა უხეშში და წვნიანი საკვების დამზადებაში. გათიბული ბალახი კი დიდხანს ეყარა ღია ცის ქვეშ. დაკარგა ყუათიანობა. ჭიანურდებოდა ნამჯის შეგროვება-დაზვინვა.

ეს და რაიონში საკვებწარმოების შეფერხების სხვა ფაქტები პარტიის რაიკომის ბიუროს მსჯელობის საგანი გახდა. მაგრამ ყველა მეურნეობაში საჭირო დასკვნა როდი ჭამოიტანეს კრიტიკიდან. დღესაც დიდძალი ნამჯა ყრია სოფელ წითელწყაროს ლენინის სახელობის, ნაწილობრივ ოზაანის და სხვა ცოლმეურნეობების მინდვრებში. რაიონში კი 40 ათასი ტონის ნაცვლად 20.500 ტონა ნამჯა არის ფერმებთან მიტანილი.

უკეთესი მდგომარეობა სენაჟის დამზადებაში. ამ საქმეში მეურნეობებს დაეხმარნენ მუშა-მოსამსახურეები, მოსწავლე ახალგაზრდობა. ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება კოლმეურნეობებსა და ბრიგადებს შორის. გამარჯვებულებს ახალისებდნენ გარდამავალი დროშებით, ვიმპელებით, ფასიანი საჩუქრებით, ფულადი ჯილდოებით. ამის მეოხებით სულ რაღაც სამი კვირის განმავლობაში 35.000 ტონა სენაჟი ჩაიდო, რაც საგეგმოზე გაცილებით მეტია.

დასანანია ის, რომ ეს ტემპი ზოგიერთ მეურნეობაში შენელდა. სოფლების ოზაანის, გამარჯვების, ქვემო ქედის ცოლმეურნეობებს საგეგმოს ნახევარზე ნაკლები თივა, ნამჯა, სილოსი აქვთ მომარაგებული. ამას მარტო გვალვას ვერ დავაბრალებთ. მით უმეტეს ჯაფარიძელების მაგალითი ადასტურებს, რომ თუ მოიწადინებ, უამინდობის გამკლავებასაც შეძლებ.

ვლ. მჟელიშვილი.
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სამშობლოს მთავარი

კაპიტალიზაციორია ინფორმაციის ინდუსტრია

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მიმართულებებში ნათქვამია, რომ პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის უმთავრესი მიზანი იყო და არის ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი ამაღლება. უახლოეს მომავალში ამ მიზნის რეალიზაცია მოითხოვს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტემპის დაჩქარებას, წარმოების ყოველმხრივ ინტენსიფიკაციისა და ეფექტიანობის გადიდებას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ბაზაზე.

სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება შეუძლებელია, თუ არ გადაიჭრა შემდეგი სამი პრობლემა.

პირველი მათგანი უკავშირდება საინჟინრო-ტექნიკური და სამეცნიერო-კვლევის დარგში არსებული მდგომარეობის კარდინალურ შეცვლას, სამეცნიერო და საინჟინრო შრომის საზოგადოებრივი აღიარების გადიდებას, მასში შემოქმედებითი საწყისების გაძლიერებას... ყველაზე არსებითია მათი შრომის ანაზღაურებისა და სტიმულირების ზრდა.

გათვალისწინებულია გაიზარდოს პრემიების როლი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის. პრემიებისა და მატერიალური წახალისების ფონდებში ასარიცხების ოდენობა უფრო მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს სახალხო მეურნეობაში მიღებული ეფექტის სიდიდეს, შესრულებული სამუშაოების მნიშვნელობას, ნამუშევრების შესრულებისა და წარმოებაში მათი შედეგების დანერგვის ვადების შეცირებას. მატერიალური სტიმულირების ამ ძლაერი ბერკეტის ობიექტურად და სწორად გამოყენებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ საწარმოების, გაერთიანებებისა და საერთოდ სამინისტროების კარგი მუშაობის ერთ-ერთ მთავარ კრიტერიუმად მივიჩნიოთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებიმ, უმაღლესი მსოფლიო დონის შესაბამისი ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შექმნით და სახალხო მეურნეობაში დანერგვით მიღებული ეკონომიკური ეფექტის ხვედრითი წილი საერთო საფინანსო-სამეურნეო ბალანსში.

აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა დირექტიული ხასიათისაა და მისი გადაჭრა უნდა ეყრდნობოდეს სწორ მეცნიერულ რეკომენდაციებსა და წინადადებებს.

მეორე საკითხია სახალხო მეურნეობაში მოწინავე ტექნოლოგიებისა და ახალი გადაწყვეტილებების გამოყენების მასშტაბების ზრდა. პარტია მიგვითითებს, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კატალიზატორია მიკროელექტრონიკა, გამოთვლითი ტექნიკა და ხელსაწყოთმშენებლობა, ინფორმატიკის მთელი ინდუსტრია. ბევრი რამ დამოკიდებულია არა მარტო ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების გამოშვების ზრდაზე, არამედ სახალხო მეურნეობაში მათს ეფექტიან გამოყენებაზე.

რატომ დაიყენა ცხოვრებამ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების აუცილებელ პირობად გამოთვლითი ტექნიკისა და, საერთოდ, გამოყენებითი მეცნიერების ფართოდ გამოყენების საკითხი? პასუხი ამ კითხვას ერთი აქვს. სახალხო მეურნეობის თანამედროვე ეკონომიკა ძალზედ რთული, უწყვეტად განვითარებადი სისტემაა. მთელი ეკონომიკისა და ცალკეული მისი რგოლების მართვა რთული ხდება ამის გამო, რომ იგი არის როგორც უწყვეტი, ასევე დისკრეტული, შეფთხვევითი — ასევე დეტერმინისტული, დინამიკური — ამავე დროს სტატიკური, სტაციონარული — ასევე არასტაციონარული. აქვს გარკვეული ავტონომიაც და დამოკიდებულია გარე საზოგადოებრივი განვითარების კანონებზეც. ასეთი სისტემის აღეკვატურად აღმწერი მათემატიკური მოდელის შექმნა, რომელიც თავისი სირთულით შეიძლება გავუტოლოთ რომელიმე პლანეტაზე ადამიანის გაფრენას, შეუძლებელია გამოთვლითი ტექნიკისა და თანამედროვე მათემატიკური მეთოდების გამოუყენებლად.

ექსპერიმენტი და სინამდვილე

ძვაკუთხედია აგრომრეწვი

ჩვენი ქვეყნის მასშტაბით მეჩაიეობისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების გავრცელების ძირითადი ბაზა საქართველოშია.

ამჟამად, ჩაისა და ციტრუსების ვარგისი პირველი და მეორე კატეგორიის მიწები თითქმის მთლიანად ათვისებულია. ამის გამო ამ კულტურების ახალ პლანტაციებს ტრადიციული ტექნოლოგიის მიხედვით ძირითადად ნაჭაობარ და სხვა დაბალი კატეგორიის მიწებზე აშენებენ. ამიტომ არც თუ იშვიათად გაწეული კაპიტალური დაბანდებები ვერ იძლევა სასურველ ეკონომიკურ ეფექტს. ამას ადასტურებს კიდეც კოლხეთის ზონის ხუთ რაიონში 1975-1984 წლებში ჩაის ახალი პლანტაციების გაშენებისა და ძველის ჩამოწერის ფაქტობრივი მონაცემები. ამ წლებში ცხაკაიას, ხობის, ზუგდიდის, გალის და ლანჩხუთის რაიონებში გაშენდა 3.924 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, მათ შორის კოლხეთის დაბლობზე — 2.488 ჰექტარი. ამავე წლებში სხვადასხვა მიზეზების გამო ჩამოიწერა 2.331 ჰექტარი ჩაის პლანტაცია; მათ შორის 1.083 ჰექტარი — კოლხეთის დაბლობზე. ჩაის პლანტაციის საკმაოდ დიდი ნაწილი ამჟამად ჩამოსაწერია.

გარდა ამისა, ბიოლოგიური ხანგაზრდოვნების გამო ჩაის პლანტაციების მნიშვნელოვან ნაწილში კარგახანია მოსავლიანობა ერთობ კლებულობს. ასეთ დროს საჭიროა პლანტაციები განვაახლოთ. ჩაის პლანტაციებისა და ციტრუსების ბაღების დიდ ნაწილს სერიოზულად აზიანებს ნიადაგის დაჭაობება, ორგანული და მინერალური სასუქების არარაციონალური გამოყენება, არასწორი ირრიგაცია და საერთოდ მოვლა-მოყვანის პროგრესული ტექნოლოგიის ელემენტების დარღვევა. ამის გამო ბევრგან საკმაო მოსავალს ვერ ვიღებთ. ყოველივე ამის შედეგად თანდათანობით მცირდება წარმოებული პროდუქციის ოდენობა, იზრდება მისი თვითღირებულება და უარესდება ხარისხი.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ ეს ნაკლოვანებები თავიდან ავიცილოთ?

ამ კულტურების მოვლა-მოყვანის საქმეში აუცილებელია ძირეულად შეიცვალოთ სტრუქტურული მიდგომა, საჭიროა ყურადღება გადავიტანოთ ეფექტიანობაზე, საბოლოო შედეგებზე, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, საწარმოო ფონდების გაფართოებიდან უნდა გადავიდეთ ამ ფონდების განახლებაზე, არსებული პლანტაციების რეკონსტრუქციაზე, მივაღწიოთ იმას, რომ ყველგან იყოს უხვმოსავლიანი ჩაის პლანტაციები და ციტრუსის ბაღები. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი შედარებით მცირე კაპიტალური დანახარჯებით ოპტიმალურ ვადებში სრულდებოდეს პროგრესული ტექნოლოგიის ყველა ელემენტი, იზრდებოდეს პროდუქციის წარმოება, მცირდებოდეს მისი თვითღირებულება და დანაკარგები.

ამ პროგრამის მატერიალიზაციისათვის ჩვენმა მეცნიერებმა ეკონომიკური ანალიზის არსებული მეთოდები თანამედროვე პირობებში უკვე არასაკმარისია ეკონომიკის შემდგომი სრულყოფისათვის. წინა პლანზე დგება სამეურნეო საქმიანობის პერსპექტიული ეკონომიკური ანალიზი და მისი მეთოდების გამოყენება. სასაქონლო პროდუქციის წარმოების, თვითღირებულებისა და მოგების გეგმების შესრულების მართვის, ანალიზისა და კონტროლის სისტემების შექმნა წარმოუდგენელია **პერსპექტიული ანალიზის** საკითხების გამოუყენებლად: სამეურნეო საქმიანობის პროგნოზირება, პერსპექტიული გეგმების მეცნიერული დასაბუთება და გეგმის მოსალოდნელი შესრულების შეფასება.

კომუნისტური პარტია დიდ ყურადღებას აქცევს ფინანსების დარგში პერსპექტიული გეგმების შედგენას. ცნობილია, რომ დგება სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმები, მაგრამ არ დგება ბიუჯეტის პერსპექტიული ხუთწლიანი გეგმები, რაც თავის მხრივ გარკვეულ სიძნელეებს ქმნის სახალხო მეურნეობის დაფინანსების საქმეში. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში შემუშავებული მათემატიკური მოდელი საფუძველს გვაძლევს განვახორციელოთ ფინანსების პერსპექტიული დაგეგმვა, მოგებისა და თვითღირებულების გეგმების შესრულების პროგნოზირება, მართვა და კონტროლი.

თუ სახალხო მეურნეობის ეკონომიკის ასეთი ლოკალური ხასიათის ამოცანების გადაწყვეტაში წარმატებით შეიძლება იყოს გამოყენებული თანამედროვე მათემატიკური მეთოდები, უკვე გლობალურ ხასიათის ამოცანების გადაწყვეტად საჭირო იქნება მართვის ინტუიციური, ევრისტიკულ მეთოდებსაც მივმართოთ. ამრიგად, ცხადი ხდება, თუ რამდენად აქტუალურია მართვის თანამედროვე მათემატიკური მეთოდების გამოყენება და დანერგვა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა სფეროში.

ცნობილია, რომ ფუნდამენტური მეცნიერული კვლევის შედეგების დანერგვა დიდ წინააღმდეგობებთან არის დაკავშირებული. მიზანშეწონილი იქნება, თუ დარგობრივ კვლევითს ინსტიტუტებში, მსხვილ საწარმოებსა და გაერთიანებებში შეიქმნება ისეთი დანაყოფი (ერთეული), რომელიც პასუხს აგებს მეცნიერული კვლევის შედეგების დანერგვისათვის, მისი დაფინანსება უნდა ხდებოდეს ახალი ტექნიკის დანერგვით მიღებული ეკონომიის ხარჯზე.

მესამე საკითხი კადრებს და მოსახლეობის საკითხი? პასუხი ამ კითხვას ერთი აქვს. სახალხო მეურნეობის თანამედროვე ეკონომიკა ძალზედ რთული, უწყვეტად განვითარებადი სისტემაა. მთელი ეკონომიკისა და ცალკეული მისი რგოლების მართვა რთული ხდება იმის გამო, რომ იგი არის როგორც უწყვეტი, ასევე დისკრეტული, შეფთხვევითი — ასევე დეტერმინისტული, დინამიკური — ამავე დროს სტატიკური, სტაციონარული — ასევე არასტაციონარული. აქვს გარკვეული ავტონომიაც და დამოკიდებულია გარე საზოგადოებრივი განვითარების კანონებზეც. ასეთი სისტემის აღეკვატურად აღმწერი მათემატიკური მოდელის შექმნა, რომელიც თავისი სირთულით შეიძლება გავუტოლოთ რომელიმე პლანეტაზე ადამიანის გაფრენას, შეუძლებელია გამოთვლითი ტექნიკისა და თანამედროვე მათემატიკური მეთოდების გამოუყენებლად.

კატალიზატორია ინფორმაციის ინდუსტრია

ეკონომიკური ანალიზის არსებული მეთოდები თანამედროვე პირობებში უკვე არასაკმარისია ეკონომიკის შემდგომი სრულყოფისათვის. წინა პლანზე დგება სამეურნეო საქმიანობის პერსპექტიული ეკონომიკური ანალიზი და მისი მეთოდების გამოყენება. სასაქონლო პროდუქციის წარმოების, თვითღირებულებისა და მოგების გეგმების შესრულების მართვის, ანალიზისა და კონტროლის სისტემების შექმნა წარმოუდგენელია **პერსპექტიული ანალიზის** საკითხების გამოუყენებლად: სამეურნეო საქმიანობის პროგნოზირება, პერსპექტიული გეგმების მეცნიერული დასაბუთება და გეგმის მოსალოდნელი შესრულების შეფასება.

კომუნისტური პარტია დიდ ყურადღებას აქცევს ფინანსების დარგში პერსპექტიული გეგმების შედგენას. ცნობილია, რომ დგება სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმები, მაგრამ არ დგება ბიუჯეტის პერსპექტიული ხუთწლიანი გეგმები, რაც თავის მხრივ გარკვეულ სიძნელეებს ქმნის სახალხო მეურნეობის დაფინანსების საქმეში. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში შემუშავებული მათემატიკური მოდელი საფუძველს გვაძლევს განვახორციელოთ ფინანსების პერსპექტიული დაგეგმვა, მოგებისა და თვითღირებულების გეგმების შესრულების პროგნოზირება, მართვა და კონტროლი.

ქვეყნის სახალხო მეურნეობის წინაშე დასახული ამოცანების გადაწყვეტა მოითხოვს მეცნიერების კომპლექსურ მიდგომას. ეკონომისტებისა, ინჟინრებისა და მათემატიკოსების ერთობლივი შრომა ყველაზე მეტად დღეს არის საჭირო. მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი ერთმანეთის სპეციალობებში ნაკლებად ერკვევიან და არც ჩანს მათი დიდი სურვილი მომავალში ამ ნეგატიური ტენდენციის დაძლევისა. ეს განსაკუთრებით შეიძლება ითქვას ჩვენი რესპუბლიკის მასშტაბით. ხშირად ეწყობა საკავშირო სამმართველოები და კონფერენციები მათემატიკური ეკონომიკის თანამედროვე პრობლემებზე და ამ საქმეში ქართველ მეცნიერთა წვლილი და მონაწილეობაც კი ძალზე მოკრძალებულია. გაუმჯობესებას მოითხოვს იმ კადრების მომზადების, გადამზადებისა და განაწილების არსებული სისტემა, რომლებიც უნდა იცნობდნენ თანამედროვე ეკონომიკურ-მათემატიკურ მეთოდებს და მზად იყვნენ პრაქტიკულად გამოიყენონ გამოთვლითი ტექნიკის თანამედროვე საშუალებანი. დღეს შეუძლებლად მიგვაჩნია ეკონომისტმა და ინჟინერმა გაიღოს თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საქმეში, თუ ისინი არ იცნობენ გამოთვლითი ტექნიკისა და გამოყენებითი მათემატიკის თანამედროვე მეთოდებს. ამ მხრივ გარდაქმნას მოითხოვს განსაკუთრებით ეკონომიკური სწავლების საქმე.

ქვეყანაში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების გარდაქმნის ძირითად მიმართულებაში ნათქვამია, რომ ეკონომისტთა მომზადებაში უნდა უზრუნველყოთ ის, რომ მათში ორგანულად იყოს შეხამებული პოლიტიკურ-ეკონომიკური განათლების მაღალი დონე და ეკონომიკის კონკრეტულ მიმართულებათა ღრმა ცოდნა, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში ფართო თვალთახედვა, უნარი—იყენებდნენ სამეურნეო სიტუაციებისა და გადაწყვეტილებების მათემატიკური მოდელირების მეთოდებს. ამ მიზნით ხომ არ იქნება მიზანშეწონილი უნივერსიტეტში საინჟინრო-ეკონომიური ფაკულტეტის ნაცვლად (ან მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, როგორც სპეციალობა) გვქონდეს მათემატიკური ეკონომიკის ფაკულტეტი, რომლის კურსდამთავრებულები დაუფლებულნი იქნებიან სოციალისტური წარმოების ოპტიმიზაციის მეთოდებს და, საერთოდ, წარმოების ორგანიზაციის მართვისა და დაგეგმვის მათემატიკურ მეთოდებს? ცხადია, მარტო მოხდენილი სახელწოდება საქმეს ვერ უშველის, თუ არსებულმა სასწავლო პროგრამამ არ განიცადა ძირეული გარდაქმნა დღევანდელ მოთხოვნასთა შესაბამისად. ყოველივე ამის გადაწყვეტა მომავლის საქმეა და ერთი ხელის დაკვრით ვერ მოხდება. მაგრამ დღეს ვართ ვალდებული გარდავიქმნათ ისე, რომ ვიფიქროთ მომავალში იმ დიდი მეცნიერული წვლილის კიდევ უფრო გაფართოებასა და პრაქტიკულ გამოყენებაზე, რომელიც გამოჩენილმა საბჭოთა მათემატიკოსებმა შეიტანეს ეკონომიკური მეცნიერების განვითარების საქმეში.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება წარმოუდგენელია, თუ ღრმა ცვლილებები არ განიცადა კადრებთან მუშაობის ინსტიტუტმა. ამჟ. მ. ს. გორბაჩოვი მიგვითითებს, რომ „უნდა გავაძლიეროთ მომთხოვნელობა ჩვენი ეკონომიკური და სამეურნეო კადრებისადმი. არ უნდა დავაყოვნოთ, არ უნდა ველოდოთ, რადგან მოსამზადებელი დრო არ დაგვრჩა, იგი წარსულმა ამოწურა“. დღეს პარტია ასე აყენებს საკითხს: ის, ვისაც არ შეუძლია მხარი აგვიბა ახლებურ მუშაობაში, გზიდან უნდა ჩამოგვცილდეს.

განა შეიძლება ახლებურ მუშაობაზე ლაპარაკი იმ საწარმოსა თუ დაწესებულებაში, რომლის ხელმძღვანელი უნდება არაფრისმაქნისი თანაბრების მოწვევასა და ქაღალდების კორიანტელის შექმნას და მოსმენაც არ უნდა დრომოჭმული, ძველი მეთოდებისა და ტექნოლოგიების შეცვლაზე, სწავლების ახალი პროგრამებისა და ფორმების დანერგვაზე.

საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობაზე აღინიშნა ხელმძღვანელთა, გაერთიანებებისა და საწარმოების დირექტორთა ის პოზიცია, რომლებიც გზას უხსნიან არასაკმარისად კვალიფიციურ და საკუთარი ცხოვრებისეული პოზიციების არმქონე მუშაკებს. მათ კარგად იციან, რომ ასეთი მუშაკები ნაკლებ წინააღმდეგობას უწევენ ყოველგვარ გადახრებს და თავს მშვიდად გრძნობენ, ასეთი ხელმძღვანელები სამწუხაროდ, კადრების დინდობის წყაროს სათავეს წარმოადგენენ. თუ გვინდა ეფექტიანად ვებრძოლოთ „სამსახურებრივ უსუსურობას“, რაც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ერთ-ერთ მუხრუჭად მიგვაჩნია, უკომპრომისო ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ ხელმძღვანელის სავარძელში კაცს, რომელსაც აშკარად სხვისი ადგილი უკავია.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უაღრესად დაბალ დონეზეა ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების პროპაგანდა სამეურნეო ხელმძღვანელ კადრებს შორის. ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ისინი პირადად წყვეტდნენ მოდელირების საკითხებს ან, ვთქვათ, ადგენდნენ გამომთვლელ მანქანაზე პროგრამას, მაგრამ იმის ცოდნა, თუ რა უნდა მოვითხოვოთ ამ მეთოდისაგან, მათემატიკოს-ეკონომისტებისაგან და გამოთვლითი ტექნიკისაგან, დღეს უნდა იცოდეს საწარმოს, გაერთიანების თუ უწყების ყველა ხელმძღვანელმა. სანამ ეს საკითხი არ გადაიჭრება, მეცნიერებს მათთან საერთო ენის გამონახვა გაუჭირდებათ და მუშაობა კვლავ ძველებურად წარიმართება. ვფიქრობთ, ამ მხრივ კარგი იქნებოდა ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლება და სათანადო ატესტაციის გავლის შემდეგ მათი ხელმძღვანელ თანამდებობებზე დატოვება.

მოდელირებისა და პროგნოზირების მეთოდების შემუშავება და მისი პრაქტიკული გამოყენების აუცილებლობა გამოწვეულია იმით, რომ ზოგიერთი შემთხვევითი პროცესის (ტექნოლოგიური, ეკონომიკური, ბიოლოგიური და სხვ.) მომავალი მნიშვნელობა ჩვენთვის უცნობია, მაგრამ მისი ცოდნა გვჭირდება დღეს სათანადო ობიექტური გადაწყვეტილებების მისაღებად. რაოდენ პარადოქსულადაც უნდა მოგვეჩვენოს, ყველაზე სრულყოფილი სისტემის პროგნოზის მნიშვნელობაც კი შეიძლება მხოლოდ შემთხვევით დაემთხვეს ზუსტად ობიექტის ფაქტობრივი რიცხვითს მნიშვნელობას მომავალში. ეს განსაკუთრებით კარგად უნდა ახსოვდეს სამეცნიერო თემის დამკვეთი ორგანიზაციისა თუ უწყების ხელმძღვანელს, რაღგანაც ხშირად იგი არის დამკვეთსა და შემსრულებელს შორის უკმაყოფილების მიზეზი. ფ. ენგელსი ამბობს: „თუ ჩვენი წანამძღვრები სწორია და თუ ჩვენ სწორად ვიყენებთ მათ მიმართ აზროვნების კანონებს, მაშინ შედეგები უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილეს... მაგრამ, სამწუხაროდ, ამას არასოდეს არა აქვს ადგილი ან აქვს ადგილი სრულიად მარტივი ოპერაციების დროს“.

